კომუნიკაციების კომისია

N გ-26-03/5474
13/11/2026

5474-გ-26-03-2-202611131536

შპს „ალტალინკს“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად გატყობინებთ, რომ 2026 წლის 19 ნოემბერს 15:00 საათზე, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა (კომისიის სხდომის სამუშაო დრო: 21:00 საათამდე), სადაც განიხილება შპს „ალტალინკის“ (ს/ნ 444555349) ავტორიზაციის შეჩერების თაობაზე საკითხი. (საფუძველი: კომისიის აპარატის ადმინისტრაციის მოხსენებითი ბარათი (N26-10-2508; 02.11.2026);

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19[1] მუხლის პირველი პუნქტის ბ) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომისია უფლებამოსილია შეაჩეროს ავტორიზაცია საკუთარი ინიციატივით, თუ ავტორიზებული პირი ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში, ერთობლივად:

ა) არ ახორციელებს ავტორიზებულ საქმიანობას;

ბ) არ წარუდგენს კომისიას რეგულირების საფასურის გაანგარიშებებს ან წარუდგენს ნულოვან გაანგარიშებას;

გ) არ იხდის რეგულირების საფასურს;

გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

დამატებით გაცნობებთ, რომ კომისიის სხდომები იმართება დისტანციურ რეჟიმში. კომისიის სხდომაზე დისტანციურად დასწრების მიზნით, გამოგეგზავნებათ სპეციალური ბმული (ლინკი), კომისიისთვის ცნობილ და თქვენს მიერ დაფიქსირებულ ბოლო ელ. ფოსტის ან/და მობილური ტელეფონის ნომერზე. შესაბამისად, გთხოვთ, შესაბამის ელექტრონულ პორტალზე (https://eforms.comcom.ge) უმოკლეს ვადაში განაახლოთ ან/და კომისიის ოფიციალურ ელ. ფოსტაზე (post@comcom.ge) მოგვაწოდოთ თქვენი საკონტაქტო მონაცემები (ელ. ფოსტა, მობილური ტელეფონის ნომერი), წინააღმდეგ შემთხვევაში, კომისია იხელმძღვანელებს მის ხელთ არსებული ბოლო საკონტაქტო მონაცემებით, რომელზეც შეტყობინება ჩაითვლება ოფიციალურად გაგზავნილ შეტყობინებად, ყველა თანმდევი სამართლებრივი შედეგით. ამასთანავე გაცნობებთ, რომ კომისიის გადაწყვეტილებები ამავდროულად გამოქვეყნდება კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზეც (www.comcom.ge).

ქეთევან წამებულის გამზ.
ბოჭორმის ქ. 50/18, თბილისი, 0144

+995 32 292 16 67
+995 32 292 16 25

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა კომისიის სხდომასა და ადმინისტრაციულ წარმოებაში. დაინტერესებული მხარის გამოუცხადებლობის შემთხვევაში, კომისია უფლებამოსილია განიხილოს საქმე და მიიღოს გადაწყვეტილება.

დანართი:

კომისიის აპარატის ადმინისტრაციის მოხსენებითი ბარათი (N26-10-2508; 02.11.2026) თანდართული მასალით.

ირაკლი ბუთბაია

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი